ლაობა, დაკვირვებული, გონიერი გამომეტყველება აშერიად  
მოწმობდა, რომ ეს აღამიანი საესებით შეეთვისა თავის მძიმე  
ხელობას. უბედურება-კი თითქმის ყოველ დღე ხდებოდა და  
მუდამ სიფხიზლეს მოითხოვდა ბენისაგან. თავისი მუშაობა  
მან დაიწყო უფრო ძნელ პირობებში, იმ დროს, როცა ელექ-  
ტრონი ჯერ კიდევ ხმარებაში არ იყო. ახლა ბენს ჰქონდა  
ტელეფონი, რომელიც იტყობინებდა, სად და როგორი უბე-  
დურება მოხდა და რა იარაღის წალებაა საჭირო.

ରୂପା ଶେନିମ ଗାଇଗା, କିମି ହେ ମେଲାନ ମ୍ଯାନିଙ୍କା ସାଫ୍ଟ୍‌ବ୍ୟୁଦ୍ଧ, ଗରୀ-  
ମନ୍ତ୍ରମଳିକ ଶ୍ରୀକିର୍ତ୍ତା ଲା କ୍ଷେତ୍ରମାତ୍ରାତ୍ମା. ଏହି ଉପରେ ଶ୍ରୀକିର୍ତ୍ତାଙ୍କାରୀ



იყო მოულოდნელ სტუმრებს: ხშირად მოდიოდნენ მასთან სხვა-და-სხვა კორესპონდენტები ამბის გამოსაკითხად და ახლაც მოემზადა ეამბნა ჩემთვის კუველაფერი. მხოლოდ ესაა უბედურება, რომ ამისთანა აღამიანებმა არ იკიან თავისი თავგადასავალის გადმოცემა. სახითათო ხელობის ჩვეულნი, ისინი აღარაფრად აფდებენ იმგა კირვებას, რომელიც ჩვენ შიშ გვვრის, და ამიტომ თქმის ლირსადაც არ მიაჩინათ. საქმარისია გაიგონოთ მათვან მხოლოდ ერთი ამბავი რამე შემთხვევის შესახებ, რომ გაითვალისწინოთ მოელი მათი ცხოვრების აენჩივანი.

გაზეთებიდან ვაცოდი, რომ ბენი ახლად დაბრუნებული იყო პენსილვანიიდან, სადაც უიქალის ერთ-ერთ მაღაროში ნიალვარმა მოიმწყვდია ერთი მუშა.

დიდხანს ამაღლ ეძებეს და შემდეგ გამოიწერს ნიუიორკიდან მყვინთავი. წავიდა ბენი.

მაღარო წარმოადგენდა საშინელ უფსკრულს, სილრმით 500 ფუტისას. აუარებელ მღვიმებში 80 ფუტის სიმაღლეზე წყალი იდგა. ძნელი იყო გამოცნობა, რომელ მღვიმეში ჩიოთრია წყალმა საწყალი მუშის გვამი.

— მერმე როგორ მოიქეცით? — ვკითხე მე ბენს.

— სულ უბრალოდ, — მშეიდად მიპასუხა მან: — ჩავე შვიწყალში და მოვდებნე საპრალო.

საქმე, რა თქმა უნდა, არც ისე აღვილი იყო, როგორც ბენი ამბობდა. მან ორი დღე დაჭყო მაღაროში, დაიარა თითქმის ცველა მღვიმები, დაათვალიერა ყოველი კუნქული და დიდი გაკირვებით იპოვა გვამი. ამ დროს მას გულის ფანკელით მოელოდა მალლა თავ-მოყრილი აუარებელი ხალხი.

მინდოდა კიდევ გამეგო რამე ამბავი საშინელ შემთხვევის შესახებ მყვინთავის ცხოვრებიდან და ვთხოვე ეამბნა ჩემთვის. ბენი დატიქრდა და წყნარად მიპასუხა:



საქართველოს ეროვნული ბიблиოთეკი

— ორაფერი საშინელება არ გამომიცდია, მშენებლის ერთხელ წყალში მუშაობის დროს მუზარადი გადამძრა თავიდან.

— როგორ, ის მუზარადი, რომლითაც მიწასთან ხართ შეერთებული, რომელიც გაწვდით ჰაერს?

— დიახ, სწორედ ის,—ისევ გულმშვიდიდად მიპასუხა ბენმა.

— მერმე როგორდა დარჩით წყალში?

— რასაკეირეველია, უიმისოდ წყალში დარჩენა შეუძლებელია, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, მალე ამომიყვანეს. როგორც მითხრეს, გული წამსვლოდა და სახე ნახშირიეკით გამშვებოდა.

ეს იყო და ეს. იმის მეტი საინტერესო ვერიფერი მიამდო ბენმა მყვინთავის ცხოვრებიდან, რომელიც სახსეა უბედური შემთხვევებით. ბევრი იღავარავა მან დალუპულ გემების შესახებ, რა მდგომარეობაში ნახა წყალში ესა თუ ის გემი, ან მისი სხვა-და-სხვა ნაწილები, მაგრამ ეს ნაკლებად მაინტერესებდა: მე მინდოდა გამეგო რამე მისი საკუთარი ცხოვრებიდან.

გადავწვიოტე თითონ მეყურებინა, როგორ მუშაობენ მყვინთავები. ამ აზრით ერთხელ ზაფხულში ნიუიორკის თბლოს. ჰდების პირად დაგბინავდი. გავიცანი რამდენიმე მშანავობა, რომელთა მიზანია დალუპულ გემებიდან საქონლის გადარჩენა. იმათი შემწეობით ბევრი რამ ვნახე და შევიტყვე. ერთხელ მყვინთავების უფროსმა წამიყვანი „ჩრდილოეთის მდინარის“ ნავთსაღვურში. ამ მდინარეში გემის დაცლის დროს ჩაიძირა სპილენძი, 60.000 მან. ლირებული.

მყვინთავები ამ დროს ტვირთის ასაწევი შანქანით მუშაობდნენ.

რამდენიმე წუთის განმავლობაში მანქანის ქშენით და ჯაჭვების ჩხარუნით ამოჰქონდა წყლიდან ყუთი, რომელშიაც,



մշտական սուրպայի, ոյտ „ըրտո մշտակ“ բառաեն. յև մշտակ Շռնուտ 70 դրամ ովայի ովայի ավագ ածհանեցնեն; մառլարձուլ բառաեթյու մոլոցուտ որդեշիլս ովայի ավագ ածհանեցնեն և ամուռունույ եան ովայի գամոհինցուու և Տալլարձուու գարենուու Յարյան, տուտու ու մանցուալ լուրջուլո.

— Ա, աելա քանիանացտ, — մուտերա ուժրանմա: — Իոցուու մանից Շիրում եցուցի մանցուան մացուացտ. Քարմուու ցույց ու մացուացտ մացուամարյուն, հոմելու աելա մուս արու. յև եռմ ֆյալի արու եցուս: Կորլաթուր բառաեթի հայուլու. բառաեն թան եան-քա-եան եցու ուստիմելու սիցուրին. յև մալուան և մանիմու, մացրամ հաս ունամ: Սեցոն արուալ ար Շեյմուցի մանից բացուրուու մառնուուց, հազգանալ լումաւ ուղլունմա բառաեթի. տուտու մացուացտ ունացնու բառաեն ցյուրու, հում սամ զայս մլոց մառնուց նեցու. Նլուու ցեսպերու բառաենուու ոց ծոտունու սալունուուցտ ուպիւ մառեցի եռլումց. յև մառեսից ծախարիչյու Շեյմունուատ Շենունու: ուց Շենունու, տուտյու համապա մուսիցուան. Ֆյալուու մանին մացուացտ յուրածանու մանցուան ար զարցա: Մենա պուրատու Շեյմունու.

Իուրա ցըմու հայուլունմա բառաեթի, այց 10—12 օստիու սոլորմեթյ, մանին յայու եցուրուու ցայտուցի սկոհուցի, չայուցի մուսացանալ.

— Իոցուու եցուրուու? — ցանլուու ուղարկուու մանին:

— ցան ահասուցք ար ցոնանացտ? յայու մանին եցուրուու ցայտուցի սուլ օգուլուա. Ա, Իոցուու աելա նաեցտ, ուց մուլուու մուշտական որդեշիլս, ֆյալու, ան յուցը Շեյմունու Յարյան, Իուրա ուժրա լուցու մալու սայուր. մացուացտ ուց եանու: Մացուացտ մուլու, Իոցուու լուսու մյուսու մյուսու, մացրամ որդեշիլս եցունու յայու մանին ամուցանալ. մանի մուլմա յայու յուրածանու մուլուու յայու, և առ ար մոյլուց, մացրամ լուրջուց մանին.

— მერმე და ასეთ მძიმე შრომის ფასად რას იღებს? მყვინავია თავი? სამართლიანი თუ ფასდება მაინც მისი შრომა?

— კარგი მყვინთავი, — მიპასუხა გამგემ, — დღეში იღებს არა ნაკლებ ორი თუმნისა; ამასთან მისი სამუშაო დღე მხოლოდ 4 საათს გრძელდება ან, ნაკლებსაც, როცა ძალიან დიდ სიღრმეზე სკირდება ჩასვლია. დღიურ ფასის გარდა კიდევ ჯამავირი ეძლევა და საჩუქრები ვაღიარებილ საქონლის პატრონისაგან.

ასეთმა შემოსავალმა ძალიან გამაკვირვა.

— მე-კი მგონია, რომ ეს დიდი ჯილდო არ არის, — სთქვა ჩემმა მოსაუბრებ.

— ამა დაუკვირდით — რა მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა: მუდამ განსაცდელში ყოფნა, მუდამ სიკედილის მოლოდინი! რამდენ საშიშროებას განიცდის მყვინთავი თავის ხანმოკლე სიცოცხლეში! უთუოდ დამეთანხმებით, რომ ასეთი შრომა დაუფასებელია.

რამოდენიმე დღის შემდეგ ერთ გეშზე გვეიცანი სახელგანთქმული მყვინთავი — ატკინსონი. ეს გემი განსაკუთრებით მყვინთავებისთვის იყო მოწყობილი: საუკეთესო მანქანები და იხლად გამოგონებული იარაღები ჰქონდა. გემის სახელი იყო „დანდენბერგი“. იმ დღეს საქონლის გემის ამონებას აპირებდნენ დანდენბერგის შემწეობით.

თითონ ატკინსონი გეშზე არ დამხვდა: ის წყალში იყო. ბაქანზე იდგა მისი თანაშემწე; ხელში ატკინსონის ამოსაწყევი ბაჭარი და ჰაერის მისაწყდენი მილი ეჭირა. რეზინის რბილი მილი გადმოგვცემდა მყვინთავის ყოველ ნიშანს. ის ხან ნაკლებ ჰაერს თხოულობდა, ხან მეტს, ხან ლურსმნები სკირდებოდა, ხან ჩერები გემის დაზიანებულ აღვილების დასკობად. გემი ლრმად არ იყო ჩასული, და როცა ატკინსონი ბაქანზე იდგა, მისი მუხარადის ზედა პირი წყალიდან უშველებელ კუსავით მოჩანდა.

უცემ დანდენბერგის ბაქანზე ამოვიდა რამოდენიმე მუშა ატკინსონის ამოსაყვანად. კოტა ხანს შემდეგ თვით ატკინსონშაც ამოპყო თავი, მოუახლოვდა კიბეს და ნელ-ნელა იწყო ამოსვლა. ტანისამოსი ამბიშებდა. ისეთი სანახავი იყო ის თავის რკინისა და კაუჩუკის ტანისამოსში, სამ-თვალიანი მუზარადით თავზე, რომ რაღაც ზღაპრულ საშინელ არსებას უფრო მოგავონებდა, ვიღრე ადამიანს. ბაქანზე მას მიეგება თანაშემწე და პირის შუშას ხსნა დაუწყო. ატკინსონი რაღაცას ეუბნებოდა ყრუ და გაბრაზებული ხმით. შუშა რომ მოხსნეს, პირქვე დაემხო პირდაპირ იატაკზე და რამოდენიმე ხანს ისვენებდა. შემდეგ ადგა და ისევ ჩიეშვა წყალში.

— ამისთანა კეთილი კაცი იშვიათი სანახავი,—მითხრა გემის უფროსმა,—მაგრამ ჩავა თუ არა წყალში, მაშინათვე იცველება. საზოგადოდ შემინიშნავს, რომ ყველა მყვინთავი მუშაობის დროს ძალიან გაბრაზებულია. ისეთი ლანძღვა-გინება იციან ამ დროს, რომ გაგიკეირდებათ. საზოგა-დოდ-კი ცველანი განსაკუთრებით ზრდილობიანი და კეთილ-ნი არიან.

ამ სიუბრის დროს მყვინთავის თანაშემწის გვერდით ვი-დექით. მაგრამ ის არა თუ არ ერეოდა ლაპარაკში, ეტყო-ბოდა—სრულიადაც ვერ გვამჩნევდა. მოელი თავისი გონება საქმეზე ჰქონდა მიპყრობილი, და ეს საქმე მართლაც მოითხოვდა მოელ მის კურადღებას, როგორც მეტად პასუხსავები და სერიოზული. წყალში მყოფი ადამიანის სვე-ბედი, მისი სიცოცხლე—ამ კაცის ხელთ იყო. და ისიც ისე გულდასმით მისხერებოდა წყალს, თითქოს ეს ეს არის უშველებელ თევზს ამოათრებსო. პატი მისაწვდომ მანქანასთან მდგომი მუშებიც ჩუმად იყვნენ; მათაც კარგად ესმოდათ თავისი მოვა-ლეობა: იცოდნენ, რომ ერთი ბეჭრო გაუფრთხილებლობა სი-ცოცხლეს გამოისალმებდა იმ ადამიანს, რომელიც სავსებით მიენდო მათ.

— რამდენ ხანး შეუძლია မყვინთავს უპაროდ გვစဲ့ရနာ?

— ერთ წုံတဲ့, ან, ბევრი რომ ვთქ္ခათ,—ორ წုံတဲ့. ერთ-ხელ ერთი მყვინთავი 50 ფუტის სიღრმეზე იყო ჩასული, რო-ცა მანქანამ უပြန်ად შესწွုပ်ရ ჰაერის გზာვნა. მალာ იმო-ყვანეს; მხოლოდ ერთი წုံတဲ့ თუ დატ့ უპაროდ, მაგრამ მაინც კოცხალ-მკვდარი იყო. ექიმმა სამ საათს ეცადა მისი მოსულიერება. როგორც ხედავთ, მუშაობა ძალიან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, — სთქ္ခა გემის უფროსმა და გადმომცა ამბავი რამდენიმე უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც გაუფრთხილებლობამ გამოიწვია. ერთხელ ჰაერის მილი ჩაი-რულ გემის თოკებში დაიხლოართა და მისი ამოღება შეუძლე-ბელი შეიქნა. მეორე გემის ნაწილი ჩამოინგრა და მყვინთავს მუზარადი მოაგლიჯა. ერთი მყვინთავი დიდ გაკირვებაში ჩააგდო იმ გარემოებამ, რომ თბილი ამონასუთქი ჰაერი, მუ-ზარადიდან გასვლის მაგივრად, მილშივე გაიყინა. ამისთან შე-მთხვევა ძალიან ხშირია მყვინთავის ხელობაშიო, — დათავა უფროსმა.

ამ კი მივხედი, რა იყო მიზეზი, რომ არცერთი დამ-ზღვევი საზოგადოება არ კისრულობს მყვინთავის დაზღვევას; ახლა ალარც მათი დიდი ჯამიგირიც მაკვირვებდა.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა ატკინსონი ისევ გამოჩენდა; წყლიდან გემის ამოსაღებად უკვე ცველაဖျော်ი მო-ემზადებინა. ორი მუშა მასთან მიეიღდა ტანისამოსის გასახდე-ლად; დანარჩენებმა კი ამოსაწုე მანქანას მიაშურეს.

ამ დროს ზარი ჩამოჰქმდეს. სადილი შზად იყო, და ჩვენც სასაღილო ოთახში ჩვევდით. ჩვენთან ერთად ატკინსონი და მეორე გამოჩენილი მყვინთავი, ტიმანსი, წამოვიდნენ. ორივე გამხდარი, უმნიშვნელო შესახედაობის კაცები იყვნენ; ამისთან მეტად მორცხევი და თავდაცერილი, როგორც შეეფျော်ရနာ საზო-გადოდ არასეულებრივ დამიანებს. გადავწყვიტ့ მესარგებლა ასეთი შემთხვევით და მაშინვე დაუწყု საუბარი.

— მართალია, რომ წყალი უფლებებს მყვინთავს სმენას?

— არა მეონია,—მიპასუბა ორივემ ერთხმად.

— ბევრ მყვინთავებს კიცნობთ: ყველას შესანიშნავი სმენა აქვთ.

— როცა წყალში ჩიდიხართ, მართალია გრძნობთ ყურების ტკიფილს, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ ყური არ გასკდება.

— როგორ თუ გასკდება?

— ასე ვეძახით, თორებ ნამდვილად არა მეონია რამე სკდებოდეს ყურში. როცა წყალში ჩაეშვებით, მაგალითად 30 ფუტის სიღრმეზე, ამასთან თუ ცოტათი სიცივესაც გრძნობთ, ყურები უთუოდ იგტკივდებათ. მაშინ პირი უნდა ვალოთ და ჩქარ-ჩქარა ყლაპოთ ნერწყვი, რომ დააჩქაროთ ყურებში ტკაცნი. მერმე კი აღარაფერი ვიჭიროთ, უფრო ქვევითაც რომ ჩახვიდეთ. ამოსელის დროსაც იგრეუნდა მოიქცეთ.

— რა სიღრმეზე შეგიძლიათ ჩასვლა?

ამ კითხვაზე ყველამ გულიანიდ გაიცინა და იტკინსონს შეხედეს; ისიც იღიმებოდა.

— რამოდენიმე წლის წინად,—სთქვა მან ბოლოს:—მე ჩავედი 150 ფუტამდე. ამ სიღრმეზე, წყლის სიმძიმის გამო, მხოლოდ 20 წუთის გავძელო. როდისმე გიამბობთ ამის შესახებ, ახლა კი დროა ნახშირის ამოზიდვას შეუდგეთ,—სთქვა მან და წამოდგა; მას სხვებიც გაჰყენენ.

გაჩალდა მუშაობა. ჩაუშევს წყალში სასრუტავი მანქანის მილი. ეს მილი წყალში მყოფ მყვინთავს ეჭირა და ნახშირისაკენ ჰქონდა მიმართული. მილი ერთბაშია იზიდავდა ასიადე ფუთ ნახშირს, შემდეგ თითონვე სცლიდა უშველებელ კალათში, რომელიც ამოსაწევ მანქანას ზევით ამოჰქონდა;



აქ კალათს სცლიდნენ და ისევ უკან აბრუნებდნენ. მუშაობა  
სწრაფად სწარმოებდა.

— ასევე მოგვაჭეს თვითეული ჩაძირული პურის მარ-  
ცვალი,—მითხრა ატკინსონმა.—მერმე ამ მარცვლებს აშრო  
ბენ, ახმობენ და ისე ჰყიდიან, თითქოს არასოდეს არ ყოფი-  
ლოყოს წყალში. ასეთი მუშაობა მყვინთავისაგან დიდ სიფრ-  
თხილებს მოითხოვს სასტური მიღს საშინელი ძალა აქვს;  
ერთხელ კინალი დაგველუბა მყვინთავი. ჯერ გამოუყდელი  
იყო, ახლად იწყებდა ჩვენ ხელობას და სწორედ ასეთი მი-  
ლით მოუხდა მუშაობა. როგორლაც მიღის პირთან გაჩერდა.  
მიღმა წამსვე მიიზიდა და მაგრად მიიკრა. საბეჭდიეროდ ყმა-  
წვილი ლონიერი და ყოჩალი გამოდგა, ვონება არ დაკარგა,  
მთელი თავისა ლონე შემოიკრიბა და როგორც იყო მოსწყდა  
მიღს; მხოლოდ მუხლზე ტანისამოსი მოგლჯა და მიღზე შერ-  
ჩა. მაგრამ მუშაობა მაინც განავრდო.

— განა შესაძლებელია დახეულ ტანისამოსით მუშაობა?  
გავიკვირვე მე;—ნახვრეტში ხომ წყალი შევიდოდა.

— რაღვან ნახვრეტი მუხლზე იყო და ამასთან პატარაც,  
კიდევ შეიძლებოდა ცოტა ხანს წყალში დარჩენა. ზეფილან  
მყვინთავს ხომ განუწყვეტლივ ჩასდის ჰაერი და ეს ჰაერი  
საკმარისია, რომ წყალი თავთან არ მიუშვას, მხოლოდ წე-  
ლამდე მიაღწევს, და ამ პირობებში მუშაობა კიდევ შესაძლე-  
ბელია. მხოლოდ ნახვრეტის ქვევით არ უნდა დაიკუთხო.

— ღმერთმა დაიფაროს,—სასოებით წარმოსოქვა ტიმან-  
სმა, რომელიც ყურს უგდებდა ჩვენ ლაპარაქს.

— რომ დაიკუთხო, რა მოხდება?—შევეკითხე მე ატკინ-  
სონს.

— რა მოხდება? წამსვე დაიღრჩიობა ადამიანი. ჰაერი მუ-  
ხარადიდან ერთბაშად გავა ნახვრეტში, და მის აღვილს ისე-  
თივე სისწრაფით წყალი დაიკერს.

ამას ატკინსონი ისე დამშეცილებით ამბობდა, თითქოს არ ელოდა ასეთი განსაცდელი.

როგორც შემდეგ გვიგე, წყალი საშინელი სიმძიმით აწევება მუკინთავს. 32 ფუტის სიღრმეზე მუკინთავს აწევს 320 ფუთი წყალი; 64 ფუტზე ეს სიმძიმე 650 ფუთს უდრის; 96-ზე კი 1000 ფუთს. ამოდენა სიმძიმისაგან მუკინთავს იფარავს მარტო იმ ჰაერის ძალა, რომელიც მუზარადში არის მომწყვდეული და რომელიც მუდამ იცვლება მიღების საშუალებით. ამის გამო, რაც უფრო ღრმად მიღის მუკინთავი, მით უფრო ბევრი ჰაერი ჩაშებაა საჭირო. ამისთანა შემთხვევებში ოთხი კაცი მუშაობს ჰაერის მისაწერომ მანქანასთან, რომ დროზე და საქმით ჰაერი მიაწოდონ და გაფუჭებული ჰაერი გამოდენონ.

იმ დღეს ჩვენი საუბარი ამით გვათავეთ. ჩემი მოსაუბრენი მუშაობას შეუდგნენ და სალაპარაკოდ აღარ ეყალთ. ატკინსონი ისევ წყალში ჩავიდა.

ამის შემდეგ ხშირად მოვდიოდი დანდერბერზე და ვებაასებოდი ამ საოცარ ადამიანებს. განა მართლაც საკეირველი არ არის მუკინთავის ხელობა? წარმოიდგინეთ უზარმაზარი ხომალდი, რომელიც უმწეოდ და საცოდავად გდია დამსხრეული ზღვის ფსკერზე. წარმოიდგინეთ ახლა აღამიანი, რომელიც ამ ბუმბერაზთან შედარებით პაწია მწერს წარმოადგენს. ეს მწერი კი თამაშად ჩადის საშინელ უფსკრულში, ათვალიერებს, დასტრიალებს ბუმბერაზს, სცდილობს როგორმე გადაარჩინოს, და შევლის კიდეც.

მუკინთავის მუშაობა ყოველთვის ერთგვარი არ არის. სხვა-და-სხვა შემთხვევა სხვა-და-სხვა საშუალების მოითხოვს, და გეგმის შემუშავება მუკინთავის კუუა-გონებაზეა დამოკიდებული. ასე რომ გარეშე მაყურებელს წარმოდგენაც არ შეუძლია, რამდენ მხნეობას, გამჭრიახობას და სიცხიზლეს ჩენს მუკინთავი მუშაობის დროს.

III

— ახლა ვიამბობთ, როგორ ვნახე გემების სისაფლო. ნუ გავიკვირდებით! ასეთი სისაფლო მართლა არსებობს და ძალიან სიმწიზარიცხავთ.

ამ სისაფლაოზე ერთ უბედურების გამო შემეტოხვა ყოფნა.  
 „ჩრდილოეთის მდინარეში“ პატარა გემს, „ამერიკა“-ს, და-  
 ჯახა თკავნეს უზარმაზარი გემი და შეაზე გასჭრა; „ამერიკა“  
 წამსვე ჩიძირა, ისე, რომ ერთი აღამიანიც არ გადატჩნილა.  
 მაგრამ ამით ზარალი არ დაბოლოვებულა. „ამერიკაში“ დაი-  
 კირა ფონი და გემების მიმოსვლა შესწყირა. საჭირო გახდა  
 მისი ამოლება. ატკინსონი ჩავიდა წყალში, ჯაჭვები გაუყა-  
 რა, ამოსალებად ცველაფერი მოაწყო და მუშები შეუდგნენ  
 გემის ამოწევას. აი, გამოჩენდა კიდეც. მაგრამ წარმოიდგინეთ  
 ჩემი განცემითრება, როცა გემი ამოლების მაგივრად მხოლოდ  
 განზე გასწიეს და ისევ ჩაუშვეს. თურმე ამ ადგილას ბლობად  
 იყო ჩიყრილი დამტკრეული და უვარვისი ხომალდები. აი, ეს  
 გახლდათ გემების სისაფლაო.

სოფუმის დროს ატყინსონი მოშიუგა დაპირებულ ავბავს.

— ჩვენ ხელობაში, — დაიწყო მან: — როგორც უველა ხა-  
ქმეში არის ისეთი საზღვარი, რომელსაც ადამიანის ბუნება  
ვერ გადასცილდება. ამას გამოცდილებით ვეუძნებით. თამაშად  
შემიძლია ესთქვა, რომ 200 მყვინთავში მხოლოდ ათი თუ  
შესძლებს 100 ფუტზე უფრო ღრმად ჩასვლას; ამ ათი წლის  
წინად ჰუდზონის სრუტეში დაიღუპა ერთი მშევნეობი გემი.  
მოგვიწვიეს ამოსალებად. შეა ზამთარი იყო. ჩვენი გემის  
უფროსად მაშინ ტიბანისი იყო, ამ ჩვენი მყვინთავის მამა.  
ტიბანისმა მყვინთავ ჰანსენს უბძანა მომზადებულიყო ჩისავ-  
ლელად. ამ, ჰანსენიც აქ არის და თითონ შეუძლია დაამო-  
წმოს, რასაც ვამბობ. ამ სიტყვისჩე უშეკლებობა შეგდელმა,

რომელიც ჩემ პირდაპირ იჯდა, თანხმობის ნიშნად თავი დაა-  
ქნია.

გემი 150 ფუტის სილრმეზე  
იყო ჩისული. ჰანსენი ცოტი არ  
იყოს აღელდა და მოითხოვა ჩემ-  
გან დახმარება. ასლაც მასსოვს,  
როცა ჩატანებული ვებმარებოდი, მეი-  
თხა: — როგორ გვინია, შევძლებ  
ასე ლრმად ჩისვლას, თუ ვერავა.

თუმ გახსოვს, ჰანსენ!


ჰანსენმა ისევ უსიტყვოდ  
დააქნია თავი. მე უპასუხდ, რომ  
ვიკისრებდი ამ სამუშაოს იმის მა-  
გივრად, მაგრამ მის გახსმნევებ-  
ლად დაუმატე: რასაკვირეველია  
შესძლებ-მეთქი. ჰანსენი ჩაეიდა.  
ბაწირი მე მეტირა. მალე მაცნო-  
ბა, რომ მშეიდობით მიაღწია ძი-  
რომდე. ამის შემდეგ ბაწირი ერთი  
წუთის განმალობაში აღარ იძ-  
როდა. შევშინდი და უბძანე სან-  
ქართლ ამოევევანათ. ჰანსენი მართ-  
ლაც ვრჩნობა-დაკარგული ამოვი-  
ყვანეთ. როცა გონის მოვიდა, არა-  
ფური არ ახსოედა. ასე არ იყო,  
ჰანსენ?

— დიახ, მართალია, — დაე-  
თანხმა ჰანსენი.

იმ დღეს შეტი არ გვიმუშავენია.

ზღვის მოქცევა დაიწყო და მუშაობა საშიში იყო.

შეორე დილით ტიმანს ისევ ჰანსენის გაგზავნა უნდო-  
და, მაგრამ ამან უარი უგანაცხადა.



„ჩვედი წყალში და სწორედ  
იმდენ ჩინ დაირჩი, რამდენიც  
სიჭირო იყო ჯიკვის გახსპულად.

— სრულიად უსარგებლო იქნებოდა ჩემი წარენა, მაგრავა  
ნიშნა ჰანსენშია.

— რისაკეთიველია, — საჩქაროდ დაემოწმა ატკინსონი.


— ჰანსენშია თავის საზღვარს მიაღწია. მე კი მჯეროდა,  
რომ ჩემი საზღვარი მისას აღემატებოდა და მოვინდომე წის-  
ვლა. უფროსიც დათანხმდა. ჩავედი წყალში და სწორედ  
იმდენ ხანს დავრჩი, რამდენიც საჭირო იყო ჯაჭვების გასაყ-  
რელიად და დაზიანებული იდგილების შესასწორებლად. სულ  
20 წუთის ვიყავი, მაგრამ არა მგრძნია, რო კიდევ ერთი წუთი  
მოცდა შემძლებოდა. 20 წუთის განჩავლობაში იმ საშინელ  
სიმძიმის ქვეშ მუშაობა 50 ფუტის სილრმეზე — რამდენიმე საა-  
თის მუშაობას უდრის.

ამის შემდეგ ატკინსონმა კიდევ მიამბო ერთი უბედური  
შემთხვევის შესახებ, რომელმაც დიდ გაჭირებაში ჩაიგდო.  
ერთხელ მუშაობის დროს ჩერები დასკირდა. ანიშნა, რომ დაბ-  
ლა ჩაეგზენათ. ჩვრები მიაბეს ამოსაყვან ბაჭირს. ამ დროს  
სასრუტავი მილებით გაცხარებით მუშაობდნენ. ბაჭირი მილს  
მიეკრა და დაიხლოართა. საბედნიეროდ შეორე ბაჭირი გრძელი  
გამოდგა. დიდი გაჭირებით ამოიყვანეს ატკინსონი.

— ისეთ პირობებში ვმუშაობთ და კიდევ ზედმეტ აპა-  
რატებს გვახვევენ თავზე, — უკმაყოფილოდ დაათავა ატკინ-  
სონშია თავისი ამბავი. როგორც შევნიშნე, საზოგადოდ უვე-  
ლა მყვინთავებს ძალიან ეჯავრებათ იხალ-გამოგონილი იარა-  
ლები, მაგალითოდ — ელექტრონის სინაოლე და წყალში ჩასა-  
ტინი ტელეფონი.


— ეს სულ იმათი მოგონილია, ვინც თავის დღეში წყალ-  
ში არ ყოფილაო, — ამბობენ ისინი. და მართლაც უშერესი ამ  
გაუმჯობესებულ იარალებისა, რომლებიც გამოუცდელ კაცს  
საუცხოო ეჩვენება, ყუთებში აწყვია და მხოლოდ გამოფე-  
ნაზე თუ ნახავთ.

საქმის თრა-მულნე კაცს გაუკვირდება, რისთვის უარ-ჰყოფენ მყვინთავები ტელეფონს, რომელიც აკავშირდებს მათ ზევით მყოფ თანაშემწესთან,—რატომ არ უნდათ გაანათონ ელექტრონით ის ადგილი, სადაც მუშაობაა საჭირო; მაგრამ როცა დაუკვირდებით გარემოებას, ხედავთ, რომ მყვინთავები მართალნი არიან.



წყალქვეშ მუშაობა ელექტრონის სინათლით.

მყვინთავის ჯერ მარტო ტანისამოსი 6 ფუთს იწონის; ამას მოუმატოთ ბაწრები და მიღები, რომელთაც დიდი ყურის გდება უნდა, რომ აჩაფერის მოედოს და არ დაიხლოათს; ამას კიდევ საჭიროა იარაღები. მას ისეც საკმაო ტვირთი მიაქვს თან და კიდევ მეტის წალება, გინდა ეს საუკეთესო პარატიც იყოს, არაფრიდ ექაშნიკება. ამ შემთხვევაში ის სამართლიანიდ გიპასუხებთ: „ჩემო კეთილო მეგობარო, თავის დასალუბპავად ისედაც საკმაო იარაღი მისაქვს თან, და რაღა საჭიროა კიდევ დაუმატოთ“.



პნელაში მუშაობას დაწევეულ მყვინთავს შესამნევად უვითარდება შეხების გრძნობა. იმ შემთხვევაში ის ბრძანს ემზადება. მას კიდევ ეხმარება ჰაერის ბრჭყვიალი ბუშტები, რომელიც ამოდის მუზარადიდან და რამოდენიმე საერთო მანძილზე უნათებს მიღამოს, შედის გემის ნახვრეტებში და მუშაობას უადვილებს. ეს ბუშტები სინათლის მაგიერობას ასრულებს, ადეილად აპოვნინებს გემის დაზიანებულ აღვილს. ამას ერთვის გაწრთვნილი მახვილი სმენა, რომლის შემწეობით მყვინთავი გამომდინარე წყლის ხმაზე ადეილად გამოიცნობს ხოლმე, ხად არის ხერელი.

ზამთარ-ზაფხულ მყვინთავი თბილ საცულებს ატარებს. იანვრის ცივ დღეში ის უფრო თბილად გრძნობს წყალში თავს, ეიდრე მარიამობისთვეში, როცა არა-ერთხელ აკან კალებული წყალში სიციისიგან. დიდხანს მუშაობა მყვინთავს, როგორც წინად ვთქვი, არ შეუძლია, არც ზამთარში, არც ზაფხულში. ხანგრძლივი მუშაობა ფილტვებს აენებს და პალე ღალავს. რაც უფრო ქვევით მიღის მყვინთავი, მით უფრო იდრე სუსტდება. საზოგადოდ ასეთი აგებულებისთვის არა-ჩევეულებრივი შრომა მალე აბერებს მყვინთავს და აღრე უსპობს სიცოცხლეს. 50 წელზე შეტა ის იშვიათად ცოცხლობს. რაც უფრო ხანში შედის მყვინთავი, შრომის უნარი სრულიად ეკარგება, გონება უჩლუნგდება, გრძნობიერება და ნერვები უსუსტდება და გავირვების დროს იგი სრულიად იბნება. საკმარისია პატარა შეცდომა, ნიშანის ვერ გავება, ან არევა, და მყვინთავი ან თითონ იღუპება, თუ წყალშია, ან ლუპავს ამხანავს, თუ ზევით მუშაობს. მყვინთავისთვის კი უმთავრესად საკიროა ხასიათის სიმშეიდე და სიმტკიცე. მაგრამ სამწუხაროდ უდროოდ დაბერებული მყვინთავი ვერ ურიგ-



დება თავის ბერს, გულს არ იტეხს, მუშაობას არ სტოვებს და მაგარ სასმელებს მიშართავს ხოლმე გასამხნევებლად. ეს კი ვერაფერი წამალია: დახმარების მაგიერად უფრო ხიფათ-ზი იგდებს. ამის გამო ბევრი მათგანი იღუპება. მეტია ლა-პარაკი იმაზე, თუ რას განიცდის მყვინთავის ოჯახი, სანამ ის მუშაობილან დაბრუნდება. კარის კაუნი, ტელეფონის ზე-რი თავზარს სცემს მთელ ოჯახს. თითონ მყვინთავი ხომ თავი-სუფალ დროსაც ვერ ისცენებს ჩიგიანად. ის ყოველ წლის მზად უნდა იყოს, რომ პირველ დაძახებაზე გაეშუროს იქ, ხა-დაც საჭიროება მოითხოვს; და განა მოიპოვება ქვეყანაზე ისე-თი ჯილდო, რომელიც შეეფერება ამ გაწვალებულ ცხოვ-რებას?

იქნება იმიტომ არ უყვართ მყვინთავებს თავისი ცხოვ-რების შესახებ ლაპარაკი, რომ თავ-დავიწყება სურთ, არ სურთ იფიქრონ თავის უისელო წარსულზე და მომავალზე, მით უფრო, რომ ეს ფრქრი ვერ გაიმხნევებს, ვერ შესძენს იმ სიმტკიცეს და სიმშვიდეს, ურომლისოდ მყვინთავს მუშაობა არ შეუძლია.

იმ დღეს მზის ჩასელამდე ვილაპარაკეთ. ბოლოს ატკინ-სონი სამუშაოდ წავიდა.

— მთამზადეთ ბაჭირი, ჯაჭვები ჩაუშეით! — ისმოდა გემზე მოკლე ბრძანება. ყველანი დაფაცურდნენ. აჭრიალდა ბორბ-ლები. გაისმა ჯაჭვების ჩხარუნი და მალე „ამერიკა“ ჩასვე-ნეს თავის მუდმივ ბინაზე, ტალახში.


— საბრალო „ამერიკა“! — უნებლიერ გავიფიქრე მე. — რამდენი ბრწყინვალე დღე გინახავს ამ წუთისოფელში, რამ-დენი გიმუშავნია და ასე უსახელოდ დაგასაფლავეს.




ლამდებოდა. უშველებელ ქალაქში ცხოვრების დრულდება, იქ მეფობდა ბერნიერებისკენ მისწრაფება, იშლებოდა უკა-  
თესი მომავლის იმედები; აქ კი უკელავერი უიმედო, სევდიო  
მოკული იყო. ნაპირზე ერთმანეთს გამოვეთხოვეთ. ატეინ-  
სონშა მაგრად ჩამომართო ხელი და მითხრა: ნახვამდისო.  
შეც გულით უპასუხე: ნახეამდის-შეთქი, რადგან ამ შესანიშ-  
ნე ადამიანის ხელმეორედ ნახვა ძალიან მინცოდა.

ବେଗନାଥ

(କୁଳାଳସର୍ବାଲ୍ଲମ୍ବନ ପ୍ରକଟିକା)






## ბოძოლია ადამიანისა პუნქბასიან

რით და როგორ ელაპარაკებიან ადამიანები ერთმანეთს  
ათასი და მეტი ვერსის მანძილზე

ტ ე ლ ე ზ ჩ ა ფ ი.

(წერილი მეცამეტე)



ა მანძილსაც წინად ადამიანი ერთ თვეს  
გადიოდა ცხენით, თუ ურმით, ახლა  
სულ ორიოდე დღეში გარჩის რკინის  
გზებისა და ორთქლ-მავალ გემების შემ-  
წყობით. მეგრამ მსწრაფლ-მავალი მან-  
ქანი ადამიანის გადაყვან-გაღმოყვანისა-  
თვის და საქონლის თუ ბარგის გადა-  
ტან-გაღმოტანისათვის სულ ნელი გა-  
მოდგა უსაკიროესი ცნობების სწრაფად მიწოდებისათვის.

ამიტომ ადამიანი შეუდგა იმის ძიებას და გამოკვლევას,  
თუ რით და როგორ მოაწყოს ამა თუ იმ ცნობის უფრო ჩქა-  
რიდ გადაცემა. ჯერ კიდევ უწინდელ დროში გავრცელებუ-  
ლი იყო შემდეგი საშუალება ამბის საჩქაროდ მისი წოდებლად:  
ანთებდნენ დიდ ცეცხლს მაღალ, განმარტოებულ გორებზე,  
და ეს იყო ნიშანი, რომ ქვეყანას, მაგალითად, მტერი შე-  
მოესია. ცეცხლის მაგიერ შემდევ იწყეს წითელი, თეთრი  
თუ შავი ბარიალების გამოკიდვა მაღალ კოშკებზე, ან სამ-  
რეკლოებზე, და სხვა.



მაგრამ რა შესადარებელია ასეთი საშუალებაზი იხლან-დელ ტელეგრაფითან, რომელიც ელექტრონის საშუალებით თვილის დახამხამებაში ატყობინებს მოელ ქვეყანის ყოველ-გვარ ამბავს ათასი და ათი ათასი ვერსის მანძილზე?!

ელექტრონის საშუალებით სიტყვების და მოელი აზრების გადაცემა პირველად გამოიგონა ინგლისელმა მოჩამე 1830 წელს, და მას შემდეგ ისე სწრაფად გავრცელდა, რომ დღეს იშვიათია ქვეყანა, სადაც არ მოიპოვება ტელეგრაფი. პირველი ტელეგრაფი გაიმართა ინგლისში, 1838 წელს, შემდეგ საფრანგეთში—1842 წელს, ხოლო რუსეთში—1852 წელს.

გეოდეზიური, როგორ აკეთებენ ტელეგრაფს: სდგამენ ბოძებს და ზედ სკიმავენ მავთულებს; ინუ სთხრიან არხებს, აწყობენ მილებს და გაჭყავთ შიგ მავთული. ამგამად ეკრო-ჰაში უფრო ეს მეორე გვარი სისტემაა მილებული ტელეგრა-ფის კეთებაში.

რაჯი ერთხელ იგემეს ადამიანებმა მეტის-შეტი სარგებ-ლობა და საკიროება ტელეგრაფისა, მაშინვე დაბადა სურ-ვილიც—გამართონ იგი ინგლისსა და საფრანგეთს შორის; ხოლო, რაღაცაც ინგლისსა და საფრანგეთს შორის ვრცელი, 30—ვერსიანი სრუტეა, ამიტომ საკირო გახდა მავთულის გაბმა ზღვის ფსკერზე ჩაშვებით, ეს კი მეტად ძნელი საქმე იყო მაშინდელ, ჯერ კიდევ გამოუცდელ ტეხნიკებისათვის.

რაღაცაც რკინი წყილში მაღლ უანგდება, ამიტომ გამო-იგონეს მავთულის გახვევა რეზინის მილებში და ისე ჩაშვება ზღვების ფსკერზე. ასე გაკეთებულ მავთულს ჰქვია კაბელი. როცა დაამთავრეს კაბელის გაბმა და ჩაშვება ზღვის ფსკერზე ინგლისსა და საფრანგეთს შორის, აღმოჩნდა, რომ ამ ტელე-გრაფის დასკირდა სიგრძეთ 381/2 ვერსი კაბელი, წონით—12 ათასი ფუტი. დღესაც კაბელით უგზავნიან ერთმანეთს ტელე-გრაფის ეს ორი მეზობელი ხალხი.



ზღვის ქვეშ ტელეგრაფის გამართვამ ინგლისში და საფრანგეთს შორის ახლა ის აზრი დაპირდა, რომ შეიცროონ ასეთივე ტელეგრაფით ეცროპა და ამერიკა. პირველ ხანებში ამ აზრის განხორციელება ყოვლად მიუწოდომელ და შეუძლებელ საქმედ მიაწნდათ, რადგანაც, როგორც იცით, უშველებელი ოკეანეა გადაჭიმული ამ ორ ქვეყანას შორის. მაგრამ ილმოჩნდნენ ისეთები, რომლებსაც სწამდათ ასეთი მიზე და ძნელი საქმის განხორციელებაც. ამათ გამოიიღეს საჭირო ფული და 1857 წელს საქმესაც შეუდგნენ. მაგრამ ოკინის შერელმა შევთულმაც ვერ გაუძლო ატლანტის ოკეანეს უზომო სილრმეს და ტალღების ცემის და გაწყდა. მოთავეებმა მაინც ხელი არ ითქვს საქმეზე და ერთი წლის შემდეგ კალავ შეუდგნენ ახალი კაბელის ჩაშეებას ოკეანეში, ინგლისსა და ჩრდილო ამერიკას შორის. საქმე ახლა კი გამირჯვებით დასრულდა, და როცა ახლად გამართული ტელეგრაფი პირველიდ ააშერეცველეს, მოთავეების და განათლებული კაცობრიობის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა!.. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ამერიკელები და ეკროპიელები უკვე მიეჩივნენ ამ თავიანთი ათასნაირი საქმეების ერთმანეთში ტელეგრამებით გაზიარებას და კეთებას, დიას, სწორედ ამ დროს, ტელეგრაფმა უცბად შეწყვიტა მოქმედება და ველარას გზით ველარ აამოქმედეს იგი. ეს მოხდა სწორედ 23 დღის შემდეგ, და ამგვარად ოკეანემ კვლავ დააშორა ეკროპა და ამერიკა ერთმანეთს. არ იციდნენ—რა ექნათ, ან სად ეძიათ მიზეზი, რადგანაც მავთული ოკეანეს მიუწოდომელ სილრმეზე იყო ჩაშვებული და კველგან ხომ ვერ გასინჯველნენ მას.


მოთავეები არც ახლა მიეცნენ უმედობას და ექვსი წლის შემდეგ კვლავ შეუდგნენ ახალი კაბელის ჩაშეებას და გაბმას ეკროპასა და ამერიკას შორის. ახალი კაბელი იწონიდა ერთ მილიონ ფუტზე მეტს და დაჯდა სულ  $6\frac{1}{2}$  მილიონი მანეთი. ერთი ბოლო ამ კაბელისა იმყოფება ინდანდიაში, ხოლო მეორე—ნიუფაუნდლენდის კუნძულზე, ჩრდილო ამე-

რიკაში. მანძილი მათ შორის ხუთი ათასი ეკრისია. იქ ერთ-ერთ დღე კვლავ ტელეგრაფი ამ და შორებულ ქვეყნებს შორის და მას მერე ამერიკის ამბები სულ რამდენიმე წუთში, ესე ვსოდე— ელექტრის სისტრატეით, ეფინება მთელს ევროპას და აზია-აფრიკას, ხოლო ამათი ამბები—ორსავე ამერიკას...

იმუამად უკვე რვა კაბელია გამართული სხვა-და-სხვა იდენტულის იხალსა და ძველ ქვეყნებს შორის. ასევე შეერთებულია ევროპა ავსტრალიასთან ოთხი კაბელით.

სიგრძე მთელ დედამიწის ზურგზე და ზღვა-ოკეანების ძირებზე გამართულ ტელეგრაფის მავთულისა სამ მილიონ ვერსზე მეტია..

ი. როსტომშაშვილი





# — ჰუთხველის — — წერილები —

## სამგლოვიარო ჭერილები

I

**ქ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესიდ გთხოვთ ეს წერილი დაბეჭდოთ. „გავიგე  
მგოსნის ვაჟას სიკედილის ამბავი. ამ გარემოებაშ დიდით და-  
მაღლონა. თუმც არც-კი მინახევს პოეტის სახე, მაგრამ მაინც დავ-  
სტირი მის ცხედარს, დავსტირი მის გულწრფელ კალამს, რო-  
მელმაც გაგვაცნო სწავლის საჭიროება.

ფოთის სამოქალაქო სასწავლებლის მე-IV კლასის მოწაფე  
მიშა მიქელაძე.

II

**ქ-ნო რედაქტორო!**

გავიგეთ ვაჟა ფშაველას სიკედილის ამბავი, რომელმაც  
ძლიერ შეგვაწუხა მე და ჩემი და — ვერა. თუმც არც-კი გვი-  
ნახევს მგოსნის სახე, მაგრამ მაინც დავსტირით მის ცხედარს,  
დავსტირით მის კალამს, რომელმაც გაგვაცნო სამშობლო  
და სწავლის საჭიროება შეგვაგნებით.

ხონის გიმნაზიის მე-III კლასის მოწაფე გრიშა და  
იმისი და ვერა ორაგველიძენი.



# შემოზირულებანი

I

**ქ-ნო რედაქტორი!**

ჩვენ, სოფელ ბუკისციხის მოწაფეებმა: ფოქა კეკელიძემ, ლადო, სერგო, ესე, ვალიკო, კარლო, ზინა, ფატია, ტერეზია და მიხაელ ცინცაძეებმა, გრიშა ელენტმა, მიშა კალანდიძემ, ხარიტონ სიხარულიძემ, სანდრო სიმონიამ, ენია ქორიძემ და კარლო შარიშვილემ გამართეთ საბავშო უფასო წარმოდგენა და დამსტრეთ შორის უევგროვეთ შემოწირულება იყავის ფონდის სასარგებლოდ 3 მანეთი და 14 კაპეიკი. გთხოვთ ეს ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

II

**ქ-ნო რედაქტორი!**

ჩვენ, ბავშეებმა, გამართეთ ს. მეჯვრისხევში საბავშო წარმოდგენა. ხარჯს გარდა დაგვრჩნა—5 მ. 25 კ. გთხოვთ ეს ჩვენი გულწრფელი შემოწირულება გადასცეთ ჩვენ მოძმე აქარლებს.

ნარ. ჩუბინიშვილი. სოფ. ფხალიძე. ნინა ფხალიძე. ელ. ჩქარელი. თამ. ჩქარელი. სან. ჩუბინიშვილი. დიმ. ჩუბინიშვილი. ლ. დავითაშვილი. ვახ. ფხალიძე. გ. ფხალიძე.

გამგე მარგალიტა ჩუბინიშვილი.

III

დაბა ლანჩხუთილან, გრიშა ორაგველიძისაგან მივიღეთ იყავის ფონდის გასაძლიერებლად 3 მან. 80 კაპ., რომელიც შემოვიდა ლანჩხუთში გამართულ საბავშო წარმოდგენიდან.



## ଶାଖାଧେଶ

(ପ୍ରାଚୀନତାଙ୍କର ଡା. ବିଜୟପୁରାମୁଦ୍ରା ଲିପିରେ).

I

ଯରତୀ—କ୍ଷେତ୍ରାରମଦିଗଳିଆ,  
ଓ ମେହରୀ—ମୁକ୍ତିବାରୀ;  
ମେହାମେ—ମରୀ ନାଥୀବାରୀ,  
ରମେଶ ପିତ୍ତୁରୀ ମୁକ୍ତିବାରୀ;  
ଯରତାର ନାଥୀ, ତାର ଏହି ମୁକ୍ତିବାରୀ  
ଅର୍ଜିନ ଏହି ଗାନ୍ଧାରୀ.

II

ତିର୍ଯ୍ୟକେଲିତା ପିତ୍ତୁରୀ  
ଦାଗ୍ରେତାନ୍ତମ୍ଭେଦାମ,  
ମେହରିତା—କୁ କାରତଲ୍ଲେଖ  
କାରିଗାର ଗାନ୍ଧାରୀ,  
ମେହାମେ—ଶାକ୍ତୀଶ କାରତଲ୍ଲେଖ ଏହି,—  
କୁପି ଦାଗ୍ରେଦାମ;  
ଯରତାର—ଗଲ୍ଲେଖିଲୁ କମ୍ବିଲୁ  
ଶେଖେ କୁର ଲଗିଲୁ—  
ଶେଖେ କୁର ନାଥୀଶ, କମ୍ବିଲୁଲୁଶ  
ଏହି ଦାଗ୍ରେଦାମ.





# რეპუბლიკა

რე ბის მისამართი და დარჩევების შეუძლია)

3.,

დილის ცვარი ანუ?



ა



მამიშვილის ქალიშვილი



ბ



ურიათა წინას-  
წარმეტყველი.

ქ „გ ც.

მე-6 №-ში მოთავსებულ შერადების და რებუსის აღსწა:

- 1) მტარვალი,—2) ჭაბუკი,—3) არ გათეორდება ყორანი,  
რა გინდა ხეხო ქვიშითა.

# „ნაკადული“-ზე რედაქციაში

და

წირს-პითევის საზოგადოების წარმოს გაღაფაში იყრდნა უძღვის წიგნიში:

- 1) ტომის თავგადასავალი,—თხ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი . . . . . 50 კ.
- 2) რას გვიამბობს ოთახი,—თხ. ივენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი . . . . . 20 კ.
- 3) დასურათებული ახალი ანბანი,—ფასი. . . 1 გ. 20 კ.
- 4) სკრუჟი და მარლეი,—საშობო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.
- 5) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები ჰ. ე. ანდრესენისა, ერ. სეტ. ტომასონისა, გ. ინსონისა და რ. კიკლინგისა, ფასი. . . . . 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიყრმე.—მოთხრობა ლევ. ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. . . . . 60 კ.
- 7) ორი მხატვარი,—თარგმანი ლ. ივალიანისა, ფასი . . . . . 15 კ.
- 8) სამშობლო ბუნების ხარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,—ნინო ნაკაშიძისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი, ორი მოთხრობა ლევარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაკევარიანისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 11) დათო,—ირ. ევლოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ილ. შენშიაშვილისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 12) მოთხრობები,—ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა. . . . . 5 კ.
- 13) იგავ-არაენი,—125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ილ. მირიანშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.
- 14) ბიძია თომას ქოხი,—ალმანი ბიჩერ-სტოუსი ზანგ-თა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა. 1 გ. 25 კ.

195 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ეურნალ კრისტენი  
გამოცემისათვე

# „ნაკადული“<sup>—ზ.</sup>

წელიწადი მეოცენაშემდევ

ეურნალი ნაკადული გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ  
არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**24 წიგნი „ნაკადულისა“**  
მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი „ნაკადულისა“**  
მოზრდილთათვის.

**36 სურათი ნაკადულის 1-ლ გვერდზე.**

საჩუქრად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ  
ხელის მომწერლებს წიგნი: დასურათებული „ხალხური ზღაპრე-  
ბი“, —სამეცნიერო შეკრების ინსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ეურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა — 5 მან. ნახვაზ  
წლით — 3 მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი — 3 გ.,  
მოზრდილთათვის 12 წიგნი — 3 მან., ფულის შემოტანა შეიძლება  
ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით 7 გ., ნახვაზი წლით 4 გ.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ეურნალი „ნაკადული“ არ  
მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და აღრესის გამო-  
ცვლა დროზე შეგვატყობინონ. აღრესის გამოსაცვლელად — 40 კ.  
შეიძლება მარკებით გამოგზავნონ.

**ხელის მოწვევა მიიღება**

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალიშვილის სახ-  
ლი, გოლოვინის პროსპ. № 8. რეაცია „Накадули“, Головинскій  
шр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის  
გამოვრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. ქუ-  
თაისში —ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავ-  
რიშვილთან. სამტრედიაში —ვლ. ნაცევალაძესთან. ფოთში —თეო-  
ფილე კანდელაკთან და კ. თელიასთან. ბათოშში —ტროფიმ ინასარი-  
ძესთან, ფოსტაში, ჭ. ანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში ჭ. ლან-  
ჩეუთში —ლეო იმნაძესთან. თელავში —ვანო ვაარაშვილთან. ახალ-  
ციხეში — კონსტანტინე გვარიამაძესთან. ბაქოში —ნინო გელაშვილ-  
თან. გორში —ნინო ლომისურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. ჭია-  
თურაში —ივ. გომელაურთან. ერევანში —კ. ოდიშარიასთან. ალე-  
ქსანდროპოლიში —ს. შატბერიშვილთან. ნახჩევანში —სამ. მარჯანი-  
შვილთან. ხონში —მ. ი. ჭავჭავაძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი ა. პაფლე იოსების-ძე თუმანიშვილი.